

შეხამებებისათვის შდრ.: „მილიონობით ადამიანი დაეუფლა რთულ სა-
წარმოო პროფესიებს, ბევრი მათგანი მოწინავე და ნოვატორია“
(„კომ.“); „პროფესიას ვაუფლებით... საწარმოო კომბინატში“
(„თბილ.“).

თუ შესწავლა ზმნასთან შეხამების თვალსაზრისით პროფესია და
სპეციალობა განსხვავდებიან ხელობისაგან, რომელიც იგუებს ამ ზმნას
(მაგ.: ხელობას ისწავლის), შეძენა ზმნასთან დაკავშირების თვალსაზ-
რისით სხვაობა ამ სინონიმურ სიტყვებს შორის არ არის: ვერც ერთი
მათგანი აღნიშნულ ზმნასთან ვერ ქმნის ბუნებრივ შესიტყვებას. მიუ-
ხედავად ამისა, ქართულ პრესაში მაინც დასტურდება ამ სახის დარ-
ღვევებიც: „სამშენებლო პროფესიები შეიძლება შეიძინონ პროფტექ-
სასწავლებლებში... [უნდა იყოს: პროფესიებს შეიძლება დაეუფლონ]“
(„ახ. კომ.“); „თუ ავადმყოფი ბავშვი დროულად შეიყვანეს სპეცია-
ლურ სკოლაში, ბავშვები... შეიძენენ რომელიმე სპეციალობას [უნდა
იყოს: დაეუფლებიან, ან: მიიღებენ]“ („სოფლ. ცხოვრ.“).

სხვა სახელებთან შეძენა ზმნის შეხამების შესახებ იხ. შეიძენს.

რ

რეზერვი საერთაშორისო სიტყვაა (ფრანგ. réserve < ლათ.
reservo ვზოვავ, ვინახავ) და განიმარტება შემდეგნაირად: 1. ჯერ კი-
დედ გამოუყენებელი შესაძლებლობები, რესურსები, ნატურალური,
ფინანსური ან სხვა მარაგი, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში გა-
მოიყენებენ. ამ მნიშვნელობით იგი შედის მყარ შესიტყვებებში: **შრო-**
მითი რეზერვები, მატერიალური რეზერვები, საწარმოო რეზერვები
და ა. შ. ეს ძირითადი მნიშვნელობაა ამოსავალი სამხედრო ტერმი-
ნისათვისაც — **სარეზერვო არმია**.

მაშასადამე, რეზერვის ძირითადი მნიშვნელობაა შესაძლებლობა,
მარაგი. ამ მნიშვნელობით თანამედროვე ქართულში, კერძოდ, პრესის
ენაში, გახშირდა სიტყვა რეზერვის გამოყენება: „ყველგან გვიშალა
მოძრაობა... წარმოების დამატებითი რეზერვების გამონახვისათვის“
(„თბილ.“); „ბრაზილიის ნაკრებს ჰყავს ძლიერი რეზერვი“ (ვ. ურჯუმ.);
„ყოველი გუნდის წარმატების საწინდარი რეზერვია“ („ლელო“); „მა-
ლალი მაჩვენებლები მოპოვებულია რეზერვების ძიება-მოქმედებით,
საწარმოო ფართობის მაქსიმალური გამოყენებით“ („თბილ.“) და სხვ

რეზერვის ამგვარად გამოყენების გვერდით გვხვდება გაუცნო-
ბიერებლად გამოყენების შემთხვევები, — მის ამოსავალ მნიშვნელო-

ბათა გაუთვალისწინებლად. ამგვარ სიტყვათხმარებას ახლავს გარკვეული სტილისტიკური უხერხულობები და, ზოგჯერ, აშკარა შეცდომებიც. მაგ.: „ეს კარგი რეზერვია... შემოსული ტვირთების დროულად გაგზავნისათვის“ („თბილ.“); „სოლიდურ რეზერვებს შეიცავს სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფა“ („კომ.“) და სხვ.

სიტყვა რეზერვს განსაკუთრებით თამამად მიმართავენ სათაურებში: „ჩვენი ახალი რეზერვები“ („კომ.“); „სიუზვის რეზერვები“ („კომ.“); „ყველა რეზერვის ამოქმედებით“ („სოფლ. ცნობრ.“); „ზრდის რეზერვების გამოყენებით“ („ახ. კომ.“); „რეკონსტრუქცია — ეკონომიკის დიდი რეზერვი“ („თბილ.“); „ინიციატივა, გერგილიანობა, რეზერვები“ („კომ.“) და ა. შ. ამ სათაურების ქვეშ მოთავსებული წერილების შინაარსის გათვალისწინებით სიტყვა რეზერვი უხმარიათ ასეთი მნიშვნელობით: შესაძლებლობა, საშუალება. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით გამოყენებისას იგრძნობა დაშორება ძირითადი სემანტიკისაგან. სათაურებში მას რამდენადმე ამართლებს ფრაზის ეკონომიურობისაკენ სწრაფვა; აზრის მეტი სიცხადე სათაურს შეიძლება არც მოეთხოვებოდეს. მაგრამ გაბმული თხრობის დროს მეტისმეტად ხშირი, ნებისმიერი და დაუდევარი ხმარება ამ სიტყვისა ზოგჯერ აბუნდოვანებს აზრს, გაუგებარს ხდის როგორც თვით სიტყვის, ისე მთელი გამოწვევის შინაარსს. მაგ.: „ყურძნის უხვი მოსავლის დიდი რეზერვია მორწყვა“ („ლენ. გზით“). ამგვარი გაუაზრებელი ხმარება ამ სიტყვისა ზოგჯერ ტაქტოლოგიის მიზეზიც გამხდარა: „ქარგად ვიცით, რომ ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს ხარვეზიც და აუმოქმედებელ-გამოუყენებელი რეზერვიც“. („თბილ.“). რამდენადაც რეზერვი სწორედ აუმოქმედებელი და გამოუყენებელი შესაძლებლობებია, რეზერვის მსაზღვრელებად ისინი არ გამოდგება.

სიტყვა რეზერვი პრესის ენაში პუბლიცისტურ შტამბად იქცა და დაკარგა გამომსახველობითი ძალა. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დასაძებნია სათანადო შინაარსის ამსახველი ზუსტი გამოთქმები და კონსტრუქციები.

რელიგიური. ზედსართავი სახელი რელიგიური ნაწარმოებია საერთაშორისო სიტყვისაგან — რელიგია, რომელიც ლათინური წარმოშობისაა (religio) და ქართულში რუსულის გზითაა შეთვისებული. რელიგიური განიმარტება, როგორც რელიგიასთან დაკავშირებული, რელიგიის ხასიათისა. ვაგრცელებულია ამ სიტყვის მონაწილეობით შექმნილი შესიტყვებები: რელიგიური კულტი, რელიგიური ცრურწმენა, რელიგიური შეხედულებები, რელიგიური მოძღვრება, რელიგიური დღესასწაული და სხვ. მაგ.: „...მსაჯულთა ეპოქაში ისრაელმა სამოქა-

ლაქო ომები და რელიგიური ერთიანობის რღვევა განიცალა“ (ფ. ბერ., თარგმ.).

ამ ზედსართავი სახელის ქართული ეკვივალენტია **სარწმუნოებრივი**, რომელიც მხოლოდ უსულო საგნების, უფრო მეტად — განყენებული სახელების მსაზღვრელად იხმარება: **სარწმუნოებრივი გრძნობა**, **სარწმუნოებრივი კულტი**, **სარწმუნოებრივი წესი**. მაგ.: „ეს საგალობელი ... იყო ოდესღაც **სარწმუნოებრივი ჰიმნი**“ (შ. დად.); „**ოთხშაბათი ქართველთა სარწმუნოებრივი შეხედულებისდა** თანახმად მთვარის დღე იყო“ (ივ. ჯავახ.). ამავე ფუძისაგან სულიერთა, კერძოდ, ადამიანთა მსაზღვრელად გამოიყენება **მორწმუნე**: ვისაც ღმერთი სწამს; რომელიმე სარწმუნოების აღმსარებელი. ეს სიტყვა იხმარება შესიტყვებაშიც (მაგ.: „მუცელაც **მორწმუნე** კაცი იყო“, — ვაჟა) და რთული სიტყვის მეორე კომპონენტადაც: **ცრუმორწმუნე**, **ერთმორწმუნე**, **მართლმორწმუნე**...

ვინაიდან ქართული წარმომავლობის სიტყვები **მორწმუნე** და **სარწმუნოებრივი** ერთმანეთს უპირისპირდება სულიერთა და უსულოთა სახელებთან შეხამების თვალსაზრისით, გაჩნდა მოთხოვნილება, რომ ამგვარი ურიერთობა სინონიმურ საერთაშორისო სიტყვასაც გამოეხატა.

მაგრამ, ვინაიდან საპირისპირო ფორმათა წარმოების საშუალებები საერთაშორისო სიტყვას არ მოეპოვება, ამიტომ გამოსახატავი შინაარსის გადმოსაცემად ქართული წარმოების ეს საერთაშორისო სიტყვა ნაკლები რიგის შეესებას მნიშვნელობის გადართობით ლამობს. მაგრამ ეროვნული და საერთაშორისო სინონიმების ხმარება ნებისმიერ მონაცელოებას არ გულისხმობს. უსულო სახელთა (საზღვრულთა) შემცველ კონტექსტებში ორივე — **სარწმუნოებრივი** და **რელიგიური** — შეიძლება იხმარებოდეს; მათ უპირატესობას ამა თუ იმ შესიტყვების სიმყარე და ხმარების სიხშირე განსაზღვრავს (მაგ., **სარწმუნოებრივი შეხედულება** — **რელიგიური შეხედულება**, მაგრამ: **რელიგიური დღესასწაული**). სულიერთა აღმნიშვნელი სახელების შემცველ კონტექსტებში კი მხოლოდ ეროვნული სინონიმები უნდა იქნეს გამოყენებული. ამიტომ სტილისტიკურად გასაღწორებელია წინადადებები: „მე უაღრესად **რელიგიური** [უნდა იყოს: **მორწმუნე**] **კაცი ვარ**“ („გამარჯვ. ვზა“); „ერთი ზედმიწევნით ინტელიგენტი მსახიობი ქალი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში სულაც არ ტოვებდა **რელიგიური** პიროვნების [უნდა იყოს: **მორწმუნის**] შთაბეჭდილებას და, ღრმად მწამს, მართლაც შორს იყო ყოველგვარი ღვთისმოსაობისაგან, სცენაზე გასვლის წინ გამუდმებით იწერდა პირჯვარს“ („სოფლ. ცხოვრ.“).

როგორც იტყვიან // რომ იტყვიან ჩართულის ფუნქციით იხმარება წინადადებაში. ჩართულების უმეტესობისაგან განსხვავებით, რომლებიც მთქმელის დამოკიდებულებას გამოხატავენ წინადადებათ გადმოცემული აზრის მიმართ, ეს გამოთქმები იხმარება მაშინ, როცა უნდათ დამატებითი საშუალებებით, კერძოდ, სხვისი (სხვათა) აზრების მოშველებით გაამაგრონ, გაამყარონ სათქმელი. ამ ფუნქციის გამო აღნიშნული ჩართულის ხმარება განსაკუთრებით მაშინაა ეფექტური, თუ წინადადებაში მას მოსდევს რაიმე ცნობილი ანდაზა, გავრცელებული გამოთქმა, ცნობილი ფრაზეოლოგიზმი და ა. შ. მაგ.: „ჩვენ, როგორც იტყვიან, ხარს პირდაპირ რქებში ჩავავლეთ ხელი“ („თბილ.“); „იყო რაიკომის ინსტრუქტორი — ეს თავისთავად ერთობ საპატიო და პასუხსაგები მოვალეობაა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ცუდია ჭარისკაცო, რომელიც გენერლობაზე არ ფიქრობს“ („თბილ.“); „ხოლო შემდეგ, როგორც იტყვიან, აიკიდა თავისი გუდა-ნაბადი და იქაურობა მიატოვა“ (ა. სულაქ.); „ამან ძალიან გაანაწყენა მძლევოსნური სამყარო, იქამდე, რომ ვაზეთში (!) მუქარით, რომ იტყვიან, „მკლავებდაკაპიწებულნი“ მოვიდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფი“ („ახ. კომ.“); „ესინი გამოცდილ ჟურნალისტებთან ერთად ძვლიან შეჯიბრებებზე და როგორც იტყვიან, ადგილზევე იყნოსავენ ჩვენი რთული, მაგრამ საინტერესო პროფესიის დენტსაც და მტვერსაც“ („ახ. კომ.“)...

დასახელებული ჩართულის ხმარება სტილისტიკური თვალსაზრისით გამართლებულად მიიჩნევა მაშინაც, თუ მას მოსდევს ენაში გავრცელებული და დამკვიდრებული ე. წ. მყარი გამონათქვამი, მაგ.: „დაჩილის ხეობამ მ. შოლოხოვის, როგორც იტყვიან, თავი დაავიწყა: აქაურობის უნახაობა დანაშაულია“ („კომ.“); „მას ღიდი გეგმები და ამოცანები აქვს დასახული შევენახეობაში, რომ იტყვიან, ყამირს ტეხენ აქ“ („კომ.“); „ისე კი ფაბრიკაში 100-ზე მეტი კომკაეშიორელია და, რომ იტყვიან, ახალგაზრდული ცხოვრება დულს და გადმოდულს“ („ახ. კომ.“)...

მაგრამ ამ ჩართულის ხმარება ყოველთვის გამართლებულად არ მიიჩნევა. გაუმართლებელია, მაგალითად, მისი გამოყენება წინადადებას ერთგვარად „გასაკეთილშობილებლად“, როცა ავტორი იძულებულია ფაძილარულად გამოხატოს სათქმელი, ანდა იხმაროს ენობრივი შტამპი, ან, პირიქით, — ნაკლებ ცნობილი სიტყვა თუ ტერმინი და ამ სტილისტიკური უხერხულობის საკომპენსაციოდ იყენებს აღნიშნულ ჩართულს, რათა ამით სხვას მიაწეროს თავისი ნათქვამი და იგი ცნობილ გამონათქვამთა რანგში აიყენოს. მაგ.: „პატარა სამუშაო ოთახში ვსხედვართ. ზოგი რამის ჩაწერა უკვე მოვასწარი, მაგრამ ამ ტელეფონებმა, რომ იტყვიან, გააქირეს საქმე“ („თბილ.“); „კოლექ-

ტივის ყველა წევრმა იცის თავისი ადგილი და მოვალეობა: რომ იტყვიან, სამაგალითო წესრიგი და დისციპლინა მეფონს ბრიგადაში“ („ან. კომ.“); „სკოლის რეფორმის საკითხი არავის ტოვებს გულგრილს. იგი ეხება უკლებლივ ყველას, როგორც იტყვიან, ყველას, დიდიან-პატარიანად“ („კომ.“); „თუ არავინ არ იყიდის საზამთროს, ხომ დაულებათ გლახებს, როგორც იტყვიან, მონაგარი?“ (გ. დოჩან.); „გავეცალკევით ბირუტყვი, ცალკე მოვათავსეთ, რომ იტყვიან, მშრალი ძროხები, ცალკე მოსაგები და ცალკე — მეწველი“ („კომ.“)...

ამ და მსგავს შემთხვევებში ჩართულები როგორც იტყვიან, რომ იტყვიან ზედმეტია და სტილისტიკურად ვნებს წინადადებას, ხოლო შეცდომია დასახელებული ჩართულების გამოყენება წინადადებაში, რომელშიც არ მონაწილეობს არც ანდჷა და არც მყარი შესიტყვება. მაგ.: „ეს გამარჯვება, როგორც იტყვიან, მართო საკუთრივ ჩვენთვის კი არ გვიხარია“... („კომ.“); „მაგრამ, როგორც იტყვიან, კრიტიკა ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი არ არის, რომ მოგეწონოს“ („თბილ.“); „გაერთიანების მშრომელთა ორგანიზებულობამ, საქმისთვის პასუხისმგებლობამ, თავდადება, რომ იტყვიან, ყველაფერი შეგვაძლებინა“ („კომ.“)...

ლევტინას, როგორც იტყვიან, ამ მატჩის ორჯერ მოგება მოუხდა“ („კომ.“)...

ბოლო დროს ამ ჩართულის გარეშე თითქმის აღარც იხმარება შესიტყვება კომენტარი (კომენტარები) ზედმეტია, რაც აგრეთვე გაუმართლებელია, რადგან მას არავითარი ლოგიკურ-აზრობრივი აუცილებლობა არ მოითხოვს. ამ ერთფეროვნების გამო კი თავისთავად მოქნილ და აქტიურ ფრაზას ენობრივ შტამბად გადაქცევის საფრთხეს უქმნის.

რუდუნება; რუდუნებით. სიტყვა რუდუნება ახალ სალიტერატურო ქართულს ძველი ქართულიდან შემორჩა ერთადერთი მნიშვნელობით: გარჯა, შრომა, ცდა. მიმღეობური ფორმია რუდუნებული — გარჯილი, ნაშრომი (ძქელ); „მოივსენენით, ძმანო, შრომანი იგი ჩუენნი და რუდუნებანი“; „წარიღონ ნაშრომი შენი და ყოველი რუდუნებული შენი“ (ძქელ).

ამავე მნიშვნელობით დასტურდება ეს სიტყვა XIX—XX საუკუნეთა სალიტერატურო ქართულში, თუმცა ამ პერიოდში იგი ხმარების სიხშირით არ გამოირჩევა: „დასვენება არ ვიცით, ისე ვრუდუნებთ“ (ი. მაჭავ., თარგმ.); „ღმერთმა, როცა ყველა სულდგმული გააჩინა, ბრძანა, შრომითა და რუდუნებით ისაზრდოვეთ“ (ი. გრიშ.).

თანამედროვე მწერლობისა და პრესის ენაში სიტყვა რუდუნება და მისგან ნაწარმოები ზმნისართული ფორმა რუდუნებით უჩვეულოდ გააქტიურდა და თანაბრად იხმარება როგორც ინტელექტუალურ-

რი, ისე ფიზიკური შრომა-გარჯის აღსანიშნავად. შდრ.: „...ივანე ჯავახიშვილს, მიუხედავად დამაშვრალ წინამორბედთა შეუპოვარი ცდისა და რუღუნებისა, მაინც ყამირი დახვდა ვასატეხი“ („ლიტ. საქ.“); „შვიდი ათეული წლის რუღუნების ამისთანა აღიარება იშვიათად თუ მოუპოვებია მოღვაწეს“ („ლიტ. საქ.“); და: „მიღწეული მართლაც თელსაჩინოა, მაგრამ ჩვენი გარჯა-რუღუნების ლოგიკა წინსვლისაკენ მუდმივი სწრაფეა...“ („კომ.“); „ხელუკუღმა გადაგდებულს კი არა, წაღმა დათესილსაც დიდი შრომა და რუღუნება უნდა“ („ლიტ. საქ.“).

მაგრამ ამ სიტყვის გაცოცხლება-გააქტიურებამ არაერთი გაუგებრობაც გამოიწვია. იმის გამო, რომ რუღუნება, რუღუნებით ახალ ქართულში პასიურ ლექსიკას განეკუთვნება და თანამედროვე ქართულენოვანი კოლექტივის მეტყველებისათვის მისი სემანტიკა იმდენად ორგანული აღარ არის, არცთუ იშვიათია რუღუნებით სიტყვის მნიშვნელობის სხვადასხვაგვარი გააზრება. მას ერთნი ხმარობენ ნაცვლად სიტყვებისა: სასოებით, მოწიწებით, რიდით, კრძალვით: „გაყვითლებულ წიგნებს რუღუნებით ფურცლავდნენ ჩემთვის ძვირფასი აღამიანები“ („ლიტ. საქ.“); „ს. მისიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით, რიდით და რუღუნებით ეპყრობა საქართველოს ისტორიულ ძეგლებს, ხალხის საუნჯეს და განძს“ („თბილ.“); „რა რუღუნებით, რა სასოებით მონასტრისათვის ირჩევდით ალავს!“ („ლიტ. საქ.“).

სხვა შემთხვევაში რუღუნებით ესმით, როგორც: კეთილსინდისიერად, სიფრთხილით, გულმოდგინედ, მონდომებით: „ფილმის... შემქმნელ კოლექტივს ... დიდი რუღუნებით გადააქვს იგი ცისფერ ეკრანზე“ („ლიტ. საქ.“); „ისინი თავიანთ ვასაოცარ წყაროებს... აგროვებდნენ დიდის რუღუნებით“ („ლიტ. საქ.“); „მონოგრაფიაში განხილულია ძველი ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთი ძალზე აქტუალური საკითხი. განხილულია იშვიათი რუღუნებით“ („ლიტ. საქ.“); „დიდი რუღუნებით ეკიდება იგი საქმეს“ („ლიტ. საქ.“).

იხმარება ეს სიტყვა მოთმინებით სიტყვის სინონიმადაც: „არც კი იცის, რომ ცხოვრება იწყება დიდი მოთმინებისა და რუღუნების მერე...“ („ცისკ.“); „...ზნეობრივი გულახდილობა, გადახალისება, დიადი მოლოდინის კარიბჭესთან რუღუნებით სვლა... ესაა თემბაქვა პოეტის ბოლოდროინდელი პოემისა“ („ლიტ. საქ.“).

ზოგჯერ რუღუნებით ესმით, როგორც: გამუდმებით, ნიადაგ, სისტემატურად, რეგულარულად, ან როგორც: დამბულად, დატვირთვით: „საკითხების გადასაწყვეტად... დიდი რუღუნებითა და დამბულობით მუშაობს პარტიული ხელმძღვანელობა...“ („ლიტ. საქ.“); „ამ ასპარეზს აშკარად სჭირდება სისტემატური, ყოველთვიური ჟურნალის რუღუნებით გაწეული შრომა“ („ლიტ. საქ.“). თუ გავითვალისწინებთ,

რომ რუღუნება შრომა-გარჯას ნიშნავს, ამ უკანასკნელ ორ მაგალითში გამოყენებული ეს სიტყვა ტავტოლოგიის ნიმუშად უნდა იქნეს მიჩნეული.

რუღუნებას ამგვარი ფართო დიაპაზონი, შესაძლოა, შეუქმნა ამ სიტყვის სპეციფიკურმა სემანტიკურმა ნიუანსმა, კერძოდ, მასში ნაეარაუდევმა არა ჩვეულებრივმა შრომამ, არამედ ისეთმა გარჯა-შრომამ, რომელიც ერთდროულად არის ხანგრძლივი, შეუწყვეტელი და შეუპოვარი, გულმოდგინე. შესაბამისად, მოქმედების ეს მახასიათებლები ცალკე იქნა გამოყოფილი მოქმედებისაგან და, შემდეგ — განზოგადებული და ამრიგად მათ დაეკისრათ (დააკისრეს!) თავად მოქმედების აღნიშვნა.

დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ერთსა და იმავე ავტორს (ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაწარმოებშიც) ეს სიტყვა სამი განსხვავებული მნიშვნელობით უხმარია: „მახარაიმ რუღუნებით [=ფრთხილად] დასვა მიწაზე გველი“ (კ. გამს.); „[ძაგანმა] ხელი მოხვია ნასმურევს რუღუნებით [=რიდით], მცირე ხანს ებაასა და შერმე თავათ ეთამაშა ნარდი [ნარდს!]“; „მის მუდარაში იმდენი სიწრფელე და მამაშვილური რუღუნება [=სასოება] ისმოდა, გაოცდა გიორგი“ (იქვე).

ამგვარი „მრავალფეროვანი“ გააზრება ფაქტობრივ ვითარებას არ შეეფერება: სიტყვა რუღუნებას ტრადიციულად ცალსახა მნიშვნელობა აქვს, — გარჯა, შრომა, — და ამ სემანტიკას არ ამოუწურავს თავისი თავი. მისი ნებისმიერი ხმარება ამ სიტყვის განვითარების ისტორიით არ არის ნაკარნახევი. მაშასადამე, მისი პოლისემიური მნიშვნელობით გამოყენებისათვის რეალური საფუძველი არ არსებობს. ამიტომ სიტყვა რუღუნების მოხმარების არც სათანადოდ უნდა შეიზღუდოს.

ს

საბრალდებო განაჩენი უმართებულო შესიტყვებაა და მიღებულია ორი ერთეულის: განაჩენისა (იხ.) და საბრალდებო დასკვნის კონტამინაციის შედეგად.

სავსებით — სრულიად. ეს ორი ზმნისართი სინონიმური შინაარსისაა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი მათ ასე განმარტავს: **სავსებით** — მთლიანად, სრულიად, სრულად, სრულებით, სულ. **სრულიად** — სულ, მთლიანად, სავსებით.

მაგრამ სალიტერატურო ენაში აშკარად იგრობომა ამ ერთგვარი შინაარსის ზმნისართთა სტილისტიკური ფუნქციების გამოყენის ტენ-